ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2018 წლის 13 მაისის შუალედური არჩევნებისთვის შემუშავებული ტრენინგების კონცეფცია

2018 წლის 13 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გასამართ საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე პილოტურად გამოიყენება საარჩევნო ტექნოლოგიები, კერძოდ, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი ხმას მისცემს ელექტრონული ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატის საშუალებით.

ელექტორატისთვის კვალიფიციური მომსახურების განხორციელების მიზნით, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით კენჭისყრაში ამომრჩევლის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ცესკო და სწავლების ცენტრი №67.27 ცაიშის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩაატარებს ტრენინგებს, შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად.
კონცეფციის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები სამ ეტაპად განხორციელდება. ტრენინგებს ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები დაესწრებიან. ტრენინგების ჩატარების გრაფიკები განთავსდება სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა საარჩევნო კომისიების წევრთა გადამზადებისა და მათ მიერ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოამზადა:

- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია